სახალხო გაზეთი

№ 520 ხუთშაბათი, 9 თებერვალი 1912 წ. № 520

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. „ „ თვეში — 75 კ.

ცალკე № ყველგან 5 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.17)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.2)

ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აცნობებს ბ.ბ. კლუბის წევრთა, რომ **ამა თებერვლის 16-ს, საღამოს 8 საათზე,** დანიშნულია

წლიური კრება

გასასინჯავად 1911 წლის ანგარიშისა, 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა და თანამდებობის პირთა ამოსარჩევად.

ბ.ბ. კლუბის წევრთ, რომელთაც ჯერ ფული არ შეუტანიათ, სთხოვენ დროზედ, 16 თებერვლამდე, წარადგინონ საწევრო გადასახადი, რომ ჰქონდეთ უფლება კრებისა და არჩევნებზე მონაწილეობის მიღებისა. (4—1068—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass rman-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—264)

დოქტორი მედიცინისა წუმლოგა ძლეკისა

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—86)

ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

ფილტვების, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 231)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.83)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოლულსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

არგუტინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

გრეიცი. თვალისა, 1—2 საათამდე.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის მეთოდით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—50).

სახალხო სამუსიკო დასაკრავთა

ვაჭრობა

ი. ე. გუტკოსი და პ. ე. კოსარევისა

ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.

გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, **შიგარჩევით,** ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.

ყოველგვარი სიმები.

შეიძლება **ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების ქირით წაღება.** აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა

სანოტე ქაღალდისა.

ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1041.6)

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“

(წლ. 1090 267)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 103)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 70).

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50—1552—35)

ექიმი გ. მ. ლოლობერიძე

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაცინით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657—34)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.40).

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—39).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—90).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—20)

ტფილისი, 9 თებერვალი

მყვირალა პატრიოტიზმი და სინამდვილე.

რუსის ნაციონალისტებს ძალიან უყვართ თავიანთ პატრიოტულ გრძნობებზე ლაპარაკი. განდიდების მანიით შეპყრობილთ ძალიან ხშირად ეკარგებათ უნარი სინამდვილის ობიექტიურ შეფასებისა. სტოლიპინი თავის ნაციონალისტურ პოლიტიკით ხელს უწყობდა ამ მყვირალა პატრიოტების გაზრდას. ოქტომბრისტებიც აჰყვნენ ამ საერთო პატრიოტულ კონცერტს, ნაყოფი თავის დაავადებულ ფანტაზიისა სინამდვილედ მიიჩნიეს, გაიმსჭვალნენ განდიდების მანიით, და ამ მხრივად სრულიად გამოეპარად მხედველობიდან რუსეთის სინამდვილე თავის ქრონიკულ სიმშილით, გაუნათლებლობით და განუვითარებელ მრეწველობით, რომელნიც არავითარ საბუთს არ იძლეოდნენ განდიდებისთვის.

სწორედ ასეთი საქმე დაემართათ ოქტომბრისტებსა და საზოგადოდ ყველა მყვირალა პატრიოტებს რუსეთ-ამერიკის კონფლიქტშიაც.

1832 წელს რუსეთსა და ამერიკის შორის დაიდო სავაჭრო ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც ორივე სახელმწიფოს განსაკუთრებული უპირატესობანი ეძლეოდა. ნაციონალურ „იდეალებით“ გატაცებულმა ბიუროკრატიამ მოისურვა შეზღუდვა იმ ამერიკელ ებრაელთა უფლებებისა, რომელთაც სხვა და სხვა საქმეების გამო რუსეთში უხდებოდათ ყოფნა. პასუხად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეუთვალა რუსეთს, რომ სწყვიტავს იმ ხელშეკრულებას, რომელიც 1832 წელს დაიდო და რომლისაც ვადა 1913 წლის პირველ იანვარს უთავდება.

ეწყინათ რუსის ნაციონალისტებს! პატრიოტულ გრძნობით აღტყინებულმა გუჩკოვმა მოითხოვა, რომ ამერიკიდან მოსულ საქონელს უდიდესი ბაჟი დაედოს. მოახდინეს პატრიოტული დემონსტრაცია, და გული დაიმშვიდეს — საქმე გავაკეთოთო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ პატრიოტულ დემონსტრაციებით შეუძლებელია გადალახვა იმ დაბრკოლებისა, რომელსაც ამ სავაჭრო ხელ-შეკრულობის დარღვევა იწვევს. საქმე იმაშია, რომ რუსეთს ბევრი ისეთი საქონელი შემოაქვს ამერიკიდან, რომელიც რუსულ მრეწველობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამერიკიდან შემოაქვთ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო იარაღები და განსაკუთრებით კი ბამბა. კრივოშეინის გამოანგარიშებით თერთმეტ მილიონ ფუთამდე ბამბა შემოაქვთ უცხოეთიდან, და უმთავრესად კი ამერიკიდან. სავაჭრო ხელშეკრულობის დარღვევა ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს როგორც სასოფლო-მეურნეობას, ისე მრეწველობას.

ეს ერთბაშად იგრძნეს რუსეთის მრეწველებმა და დაფაცურდნენ. რუსეთის საჭიროებათა უზრუნველსაყოფელად შეიმუშავეს პროექტი, რომელიც მინისტრთა საბჭოს წარუდგინეს განსახილველად. სხვა ზომათა შორის, მიწად-მოქმედების უფროსს საჭიროდ დაუნახავს კერძო კაპიტალის ამოძრავება ბამბის მოშენების გასავრცელებლად. ამისათვის საჭიროა დიდი ფულის ჩაყრა ისეთს ადგილებში, სადაც ბამბის მოშენების გავრცელება მოსალოდნელია. მაგრამ ასეთს საეჭვო საქმეში კერძო კაპიტალისტები ხალისით ვერ ჩაჰყრიან თავის ქონებას, და პროექტის ავტორიც წინადადებას იძლევა, სააქციო და საობლიგაციო თანხები ხაზინამ უზრუნველ ჰყოს.

აქ კი, როდესაც პატრიოტულ აღტაცების ადგილი პრაქტიკულმა ინტერესმა დაიჭირა, აღმოჩნდა, რომ ხელოვნურად აყვავება ხელის ერთის მოქნევით მრეწველობისა არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ბევრს ეგონა. ყაიარათიანი მინისტრი ფინანსებისა კოკოვცევი წინააღუდგა ამ ზომას, და მინისტრთა საბჭომაც შეუძლებლად სცნო ასეთი გარანტიის გაცემა. ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, სრულიად ვერ ეთვისება რუსის პატრიოტების სულის-თქმას. ისინი ჩვეულნი არიან პატრიოტულ ქარტეხილის დროს თავიანთ კერძო საქმეების მოწყობას. ამ ჟამადაც, ალბათ, იმედი ჰქონდათ, რომ პატრიოტული ყიჟინი დასჩრდილავდა საქმის ნამდვილ ვითარებას და ისეთს ნაბიჯს გადაადგმევინებდა მთავრობას, რომელსაც მხოლოდ გარეგნულადა აქვს პატრიოტული სახე, თავის შინაგან თვისებით კი მხოლოდ განსაზღვრულ ჯგუფის ინტერესს წარმოადგენს. მაგრამ, მიუხედავად კოკოვცევის ნაციონალისტურ მიდრეკილებისა, მისთვისაც კი შეუძლებელი გამხდარა ხაზინისთვის ცხადად საზარალო კომბინაციის მიღება.

რუსის განებივრებული პატრიოტები, რა თქმა უნდა, აქტივში არ ჩაუთვლიან კოკოვცევს ამ საქმეს, და, მართლაც, ეხლავე სჩანს ამის ნიშნები.

ქართული პრესა

ჩინეთის რესპუბლიკის შესახებ ქუთათური გაზეთი „ცხოვრება“ სწერს:

> ჩინეთი დღემდის უცხო სახელმწიფოთა საჯეკნი ქვეყანა იყო. ინგლისი, ამერიკა, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი—აქ ყველა თავს ბატონად გრძნობდა და თუ ვერ ინაწილებდნენ ამ ვეებერთელა ქვეყანას—მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელი იყო დიპლომატიის შეთანხმება ნამდვილ დანაწილების საკითხში.

ჩინეთმა თავი დააღწია ამ კრიტიკულ მომენტს და, უეჭველია, შემდეგში ევროპის დიდი სახელმწიფონი განაწილებაზე ოცნებას თავს დაანებებენ. არამც თუ განაწილება, განახლებული ჩინეთი ისეთს ძალად გადაიქცევა აზიაში, რომ ძირიან-ფესვიანად შესცვლის აზიის საერთაშორისო დამოკიდებულებას.

> ჩინეთის განახლებას,—სწერს „ცხოვრება“,—აუცილებლად შედეგად მოჰყვება მისი გაძლიერება გარედ; მისი როლი საერთაშორისო პოლიტიკაში გაიზრდება. ამიტომაც იყო სწორედ, რომ მოძრაობის დაწყების პირველ დღიდანვე გარეშე ძალები რევოლიუციონერებს ხელს უშლიდნენ, ზოგან პირდაპირ ძველ რეჟიმს ეხმარებოდნენ და საზოგადოდ დიდი გულმოდგინეობით ეძებდნენ საბაბს შინაურ საქმეებში ჩასარევად“.

ეს განსაცდელიც თავიდან აცილებულია, და ჩინეთის ისტორიაში ფრიად შესანიშნავი ხანა იწყება.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დღეს, როდესაც ჩინეთში რესპუბლიკა დამყარდა, ბევრგან შიშს გამოსთქვამენ ჩინეთის იმპერიის დანაწილებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მონგოლეთის განცალკევებას ეხებიან. გაზეთი „რეჩი“ სწერს:

> ადვილი მოსალოდნელია, რომ პროვინციალური, თუ სახელმწიფოებრივი ავტონომიის იდეა რესპუბლიკანური იდეის ლოღიკურ დასკვნად გადაიქცეს და მას ძალა და სიმაგრე შეჰმატოს. ცხადია, ამას არ დაეთანხმება მხოლოდ ის, ვისთვისაც ავტონომია და დანაწილება სინონიმებია. ვინ იცის, იქნებ ჩინეთმა ამ მხრით მათ გაკვეთილი მისცეს. ყოველ შემთხვევაში დიდი შეცდომა იქნება წინ და წინ ვიწინას-

წარმეტყველოთ მონგოლეთის ჩინეთისაგან გამოყოფა და ამ უნიადაგო პროგნოზზე დავამყნოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიმართულება.

* * *

გაზეთი „რუსკოე სლოვო“-ც ეხება ჩინეთში მომხდარ ცვლილების შედეგებს და სწერს:

ჩინეთის ფენომენის წინაშე ერთიანად იჩრდილება ევროპის ისტორია. მას დღემდის დასცინიან. სასაცილოა იგი განსაკუთრებით ჩვენთვის, რუსებისათვის, რომელნიც მიჩვეულნი ვართ, ყოველივეს დავცინოთ, რაიც ჩვენს „რუტინულ თან და თანობაში. არ თავსდება. ჩვენ დავცინოდით „იაპონკებს“, ახალგაზდა ოსმალებს, „პერსიუკებს“, ჩვენ დიდი ხანია უარსავყოფთ, „ჩინეთის ცერემონიას“, როგორც ბევრი რუწმუნონი უარსაჰყოფენ სპირიტიზმს. ჩინეთის დიდ რევოლუციის ისტორიას ეგრე ადრე ვერ დასწერენ. წაკითხვით კიდევ უფრო გვიან წაიკითხავენ, მაგრამ ისეთი მყინვარის დაძვრის, როგორიც ჩინეთია, შეუძლებელია დიდი გავლენა არ ჰქონდეს მის გარშემო ქვეყნების სტრუქტურაზე, შეუძლებელია გარემოცული ტემპერატურა არ შესცვალოს, თუ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ მთელი ევროპა შეანძრია, ჩინეთის დიდი რევოლიუცია მთელს აზიას შეანძრევს“.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი სამსახურის საქმეთა გამო გუშინ გორის მაზრაში გაემგზავრა.

✦ **პურისა და ხორცის ვაჭრობის საქმე** ტფილისში ვეღარ მოწესრიგდა. პურს ძალიან ცოტას აცხობენ და ისიც ყველა ხარისხისას არა. ხორციც აგრეთვე ძნელი საშოვარია და თან მეტად ძვირი.

✦ **პოეტი გ. ქუჩიშვილი** 18 თებერვალს სახალხო სახლში სალიტერატურო საღამოს გამართავს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები და ლექტორები.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** დღეს იმ ახალგაზრდებს შეამოწმებს, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდენლად მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ.

✦ **საოჯახო სიები.** უკანასკნელ ხანს ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ საოჯახო სიები, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდებს სამხედრო ბეგარისთვის იწვევენ, სწორე და სრული არ არის. სიების შედგენის ისტორია ასეთია: კანონით საოჯახო სიები 21 წლიწადში ერთხელ უნდა შეადგინონ. პირველად შედგენილ იქმნა 1886 წელს, ხოლო მეორედ—1906 წელს. ამ უკანასკნელს წელს, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, უმუშევარნი მუშაობდნენ, რიცხვით 736 კაცი. ქალაქს დაუჯდა ეს საქმე 52.000 მან., მაგრამ, მიუხედავად ასეთის დიდის ხარჯისა, სიები მაინც უვარგისად შედგენილი აღმოჩნდა. ამ გარემოებას 1909 წელს ქალაქის სამხედრო საკრებულომ და შემდეგ გუბერნატორმაც ყურადღება მიაქცია, მაგრამ ქალაქის გამგეობამ სიების შესწორება-შევსება დღეს-ხვალიობით გადასდო. ამ ჟამად კი საკითხმა უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ამიტომ ამორჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა საგნის ყოველმხრივ გამორკვევა. კომისიაში შედიან: ქალაქის მოურავი, ქალაქის გამგეობის წევრნი, ზოგიერთი ხმოსანი, საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს წარმომადგენელი ბ-ნი სპეგალსკი და ქალაქის სამხედრო-საკრებულოს მოსამსახურენი. კომისიას კრება ამ დღეებში ჰქონდა და საჭიროდ აღიარა საოჯახო სიების დაუყოვნებლივ შესწორება-შეკრება, რასაც ერთდროულად ოთხასი თუმანი დასჭირდება და სამხედრო საკრებულოს მოსამსახურეთა შტატის გაძლიერება. ამ კომისიას ქალაქის საბჭოში შესაფერი მოხსენება შეაქვს.

✦ გუშინ ქალაქის სავაჭრო პოლიციის აგენტმა ხარაზიანმა **ოქმები შეუდგინა ექვს მეპურეს** სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის და ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

✦ ქალაქის საბჭომ გირვანქა არჟანოვის პურზე 3 კაპ. დააწესა ნაცვლად წინანდელ $2^1/_2$ კაპ; ახალი ნიხრი გუშინ დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინა.

✦ გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო, სატრამვაიო, სასკოლო და ღარიბთა თავშესაფარის გამგე კომისიების თავმჯდომარეობის არჩევნები.

✦ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა მარქაროვმა გუშინ ოქმი შეუდგინა ყასაბს დივანოვს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის და ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

✦ **წვრილ კრედიტის ამხანაგობათა** დაარსების ნებართვა მიეცათ გორის მაზრის სოფლებს: ლამისყანასა და კასპს. პირველს ეძლევა: ძირითად თანხად—2,000 მან. და მოკლე ვადიან სესხად—5,000 მან. ხოლო მეორეს: ძირითად თანხად—1,000 მან. და მოკლე-ვადიან სესხად—3,000 მან.

✦ **მოსამსახურეთა წესიერ დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, რომელიც ქალაქის საბჭომ შეიმუშავა, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მიერ შეტანილ ცვლილებებითა და შენიშვნებით გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა და წინადადებას აძლევს, პროექტი განსახილველად კვლავ ქალაქის საბჭოს წარუდგინოს.

✦ **ახალგაზდა მხატვარი კოტე ქავთარაძე** თებერვლის ოცში მიემგზავრება საფრანგეთში. გზად მცირე ხნით დარჩება ქუთაისში და ბათომში ტიპების შესაგროვებლად.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** გუშინ ტფილისიდან გაემგზავრა სასწავლებლების დასათვალიერებლად.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს** მინისტრთა საბჭო მომავალ კვირას განიხილავს.

✦ **გ. ვ. მუსელიუსი**, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი, 7 თებერვალს განჯიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პ. პ. არქიპოვი და პ. ნ. საკოვნინი** სამსახურის საქმეთა გამო ბათომს გაემგზავრნენ.

✦ გუბერნატორი ქალაქის გამგეობას შეეკითხა, სად არის ამ ჟამად **იმ სახლის ფიცარი, რომელშიაც ოდესღაც ტფილისში პოეტი პუშკინი სცხოვრობდა.**

✦ **ხმოსანი ი. მ. დოლუხანოვი** ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრად დაამტკიცეს, თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევისა.

✦ **ქალაქის კასაში** 1912 წლის პირველ იანვარს 12,512 მან. 15 კაპ. ყოფილა. იანვრის განმავლობაში შემოსულა 270,282 მან. 92 კ., დახარჯულა 268,749 მან. 57 კ. პირველ თებერვლისთვის დარჩენილა 14,045 მან. 50 კ.

✦ 7 თებერვალს ტფილისში 45 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 7 თებერვალს ტფილისში შეიპყრეს უცნობი კაცი, რომელიც აღმოჩნდა ქ. შუშის მცხოვრები მიხეილ ასლანას ძე ოჰანესოვი, 45 წ. მან კაცის მოკვლის განზრახვისათვის პატიმარია გამასწორებელ რაზმში სასჯელი მოუხდია და შემდეგ ყუბანის ოლქში გადასახლებით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. იქიდან ტფილისში ნებადაურთველად ჩამოსულა.

✦ 7 თებერვალს ეტლმა № 223 დესიმონოვის ქუჩაზე გადაუარა ტყვიავის (გორის მაზრა) მცხოვრების შვილს ვლადიმერ სვიმონის ძე კაპანაძეს (13 წლის) და მსუბუქად დააშავა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **სატეხნიკო საზოგადოების კრებაზე,** რომელიც ამ დღეებში მოხდება, ინჟ. რომანოვი მოხსენებას წაიკითხავს მდინარე ყვირილის გასუფთავების შესახებ.

✦ **ქალაქის შემფასებლებად** ქალაქის საბჭომ ა. ს. ბალდასაროვი და გ. მ. მერაბოვი აირჩია.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობის მორიგი კრება 7 თებერვალს მოხდა. ამ დღეს გამგეობა საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას შეუდგა და მთელი დრო ამ საქმეს მოანდომა. გამგეობამ ხარჯთ-აღრიცხვის საბოლოოდ შედგენას კიდევ კიდევ რამდენიმე დღეს მოუნდება.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** მთავარ გამგეობას აზრადა აქვს, მოკლე ხანში საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენლების კრება მოიწვიოს.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** წევრთა საერთო წლიური კრება ნაალდგომევს მოხდება.

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** 12 თებერვალს მოხდება, დებუტატთა საკრებულოს დარბაზში, 12 საათზე.

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭო ამ დღეებში მცოდნე პირთ იწვევს იმის გამოსარკვევად, თუ რომელ სამეურნეო იარაღის მოთხოვნილება უფრო არსებობს ამ ჟამად კავკასიაში.

✦ **ბუნების მეტყველთა საზოგადოების** კრება დღეს, საღამოს 7 საათზე, მოხდება ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში. კრება, სხვათა შორის, საზოგადოების სარევიზიო კომისიისა და საბჭოს წევრებს აირჩევს.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. საოსტატო ინსტიტუტთან დაარსებულ კურსებზე,** რომელსაც აზრად აქვს მასწავლებელთა მომზადება სამქალაქო სკოლებისთვის, სწავლა პირველ მარტს დასრულდება და შემდეგ ეგზამენები დაიწყება. ეგზამენები ორს თვეს გასტანს.

სასამართლო

✦ **გაზეთ „ბაკუ“-ს რედაქტორი ვერმიშევი** სამართალში აძლევს „გოლოს კავკაზა“-ს რედაქტორს ვასილიევს, რომელმაც თავის გაზეთში ვერმიშევის შესახებ წერილი დაბეჭდა. წერილი ეხებოდა ტფ. ქალაქის საბჭოში 1905 წ. 29 აგვისტოს მომხდარ უბედურებასა და როლს ვერმიშევისას, რომელიც მაშინ ტფ. ქალაქის მოურავად იყო.

ქუთაისი.

✦ სამი დღეა, ქუთაისსა და მისს მიდამოებში **თოვლი** მოდის.

✦ ოსმალეთ-იტალიის ომის გამო, საზღვარ-გარეთ **სიმინდის** მოთხოვნილება ძლიერ დიდია. ამ ცოტა ხანში მოელიან რამდენიმე გემს. შეძლებული ფირმის წარმომადგენლნი უკვე შეუდგნენ ყიდვას დ. ოჩემჩირეში, ქ. სოხუმსა და ბათომში.

✦ რუსეთიდან 1911 წელს 1910 წელთან შედარებით მილიონ-ნახევრით მეტი კვერცხი გაუტანიათ. ამ რიცხვში სამტრედიიდან და ხონიდან 300 ათასი კვერცხი გასულა.

✦ დ. ზუგდიდში 1 თებერვალს **მოჰკლეს** თ-დ მინგრელსკის მოურავი ბ-ნი ქანდია. მკვლელები ჯერ ვერ დაუჭერიათ.

✦ 2 თებერვალს ოზურგეთში ადგილობრივ ქალთა სკოლის სასარგებლო გამართულმა **საღამომ** წმინდა შემოსავალი 250 მანეთი დასტოვა.

✦ ამას წინად ფოთში დაიწვა ბერძენ გომერას სახლი, რომელშიაც მოთავსებული იყო განიერი დარბაზი და კოხტა სცენა. ქალაქი ახლა მოკლებულია წარმოდგენებს.

✦ ტფილისიდან **ქალაქის მოურავი** ჩიქოვანი დაბრუნდა.

✦ კვირას, 5 თებერვალს, დასრულდა ჩვენი თეატრის **საზამთრო სეზონი.** („კოლხ.“).

✦ **სამოსამართლო პალატის სესია** სხვა საქმეებთან ერთად მარტში გაარჩევს ქუთაისში „მნათობის“ რედაქტორის, ვაჭრიძის საქმეს. მიცემულია სასამართლოში სისხლის სამართლის დებულებათა 129-ე მუხლის ძალით.

✦ **კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლო** მარტში ქუთაისში გაარჩევს ნოე ჩაჩავას და ბიძ. ჯიქიას საქმეს. ამათ ბრალდებათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა და გაგრაში მემამულე თავად შერემეტიევის მკვლელობის მოწყობა.

✦ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ** გამოუწერა ჟურნალ-გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „ცხოვრება“, „კოლხიდა“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „განათლება“ შემდეგ სკოლებს, სენაკის მაზრაში: ს. ეკის, გუჯეთის, კოდორის, ზუგდიდის მაზრაში: ს. კირცხის, ხობუთის, ქოლის, საჯიქაოს და ნარაზენისას; ოზურგეთის მაზრაში: ს. საჯავახოს სკოლას; რაჭაში: ს. უწერის, ილურის; ლეჩხუმის მაზრაში: ჯვარისის, ხომულის, ახალქალის და წყნორის სკოლებს, ამავე განყოფილებამ ზეაღნიშნული ჟურნალ-გაზეთები ჟურნალ „მოსავლის“ მიმატებით გამოუწერა შემდეგ თავის სახელობაზე გახსნილ სამკითხველოებს: სიმონეთის, სვირის, ხრესილის, კურსების, მუხიანის, სუფსის, საჯავახოს და ქვიტირის.

✦ **ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორს** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისგან მოწერილობა მოსვლია, რომ ყოველგვარი ოქმები სასწავლებლისა წარედგინოს მას რუსულ ენაზე დაწერილი. დღევანდლამდე სასწავლებლის ოქმები ქართულ ენაზე იწერებოდა.

✦ 5 თებერვალს ქუთაისიდან ოთხი ვერსის მანძილზე **დ. ჭეიშვილსა** და ერთ მის ამხანაგს, რომლის სახელი და გვარი ჯერ კიდევ გამოურკვეველია, წაუყვანიათ ვიღაც ქალი სახელწოდებით „შურა“. ბევრი ცემის შემდეგ, ქალი ქვატაბის კლდეზე გადაუგდიათ. ჭეიშვილი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ 30 იანვარს ს. ვანში უცნობებს დაუწვავთ ნატალია მაკაროვის სახლი. ბოროტების აღმოსაჩენად გამოძიება სწარმოებს.

✦ **ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა ფინანსიურ სამინისტროს წინაშე დაემტკიცებინა წესდების პროექტი, ბანკში მოსამსახურე პირთათვის საპენსიო კასის დაარსების შესახებ; ბანკმა ზე-აღნიშნულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი მიიღო.

✦ ექვს თებერვალს ქალაქის საკრებულო დარბაზში გაიმართა **პოლონური საღამო.** ხალხი საკმაოდ დაესწრო.

✦ ს. ღანირში **სამკითხველო დახურულა** უსახსრობის გამო. ღანირი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ხონის განყოფილების სამოქმედო რაიონში და გვიკვირს, რათ არ გაუწია მან მფარველობა ზემოაღნიშნულ კულტურულ დაწესებულებას?

✦ დაბა [illegible] გვაცნობებენ: რამდენიმე პირის თაოსნობით აქ ააგეს **საქალებო [illegible]-კლასიან** ეპარქიალურ სასწავლებლისთვის საკუთარი შენობა. მეცადინეობა დაიწყეს.

✦ ს. გუბში უკვე შეუდგნენ აკაკის სახელობაზე დაარსებულ **სამკითხველოსთვის** საკუთარ შენობის აგებას.

✦ გვაშტიბის საზოგადოებას განუზრახავს ორ-კლასიან სასოფლო **სკოლის გახსნა.** ეს საზოგადოება თორმეტი სოფლიდან შესდგება და ამ ხანად მხოლოდ ერთი ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა აქვს.

✦ ფოთის ქალაქის სამმართველო სთხოვს ქიათურის საბჭოს, შეატყობინოს თუ როგორი **ნიხრი** არის იქ პურისა და ხორცისა.

✦ როგორც ხმები დადის, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით **ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი** მომავალ წლიდან სამუდამოდ იხურება.

✦ ტფილისიდან ჩამოსული საოპერო დასი გაჰმართავს ქალაქის თეატრში შემდეგ ოპერებს: „ტრავიატას“, „რიგოლეტოს“, „ფაუსტს“, „ევგენი ონეგინს“, „დემონს“ და სხვას. („ცხოვრება“)

ბაქო

✦ **იარაღისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი** აღმოაჩინეს ვოგზალისა და ტორგოვი ქუჩის კუთხეში, ცათუროვის სახლში, სულ იყო 200,000 ცალი პატრონა, წონით 90 ფუთი, ყუმბარები და ჯოჯოხეთის მანქანა ქალაქ გარედ ააფეთქეს. ჰფიქრობენ, რომ ამ საწყობიდან იარაღს სპარსეთში ჰგზავნიდნენ.

გორი

✦ **ქალაქის თვითმმართველობამ** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორისაგან ნებართვა მიიღო, რათა დაანგრიონ ოქონის ეკლესიის ძველი კედელი ტფილისისა და ეკლესიის ქუჩის მისახვევთან, ქუჩის გასაფართოვებლად.

✦ გორის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა 1912 წელს **ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა სიის შედგენას.**

✦ გორის ქალაქის რწმუნებულთა **მორიგი კრება** 16 თებერვალს მოხდება.

✦ ქალაქის რწმუნებულთა კომისია, რომელშიაც არიან, ქალაქის მამასახლისი მაჭავარიანი, ნატროშვილი, თ-დი ამირეჯიბი, ქიტიაშვილი და ზაზუნაშვილი, ამუშავებს გორის **ელექტრონით განათების** იჯარით გაცემის პირობებს. ზოგიერთ ადგილობრივ ვექილებსაც მიიწვევენ.

✦ ამ მოკლე ხანში განზრახულია გორში ფიდელმანის კონცერტის გამართვა. შემოსავალი **ამიერ კავკასიის სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის** მიწის სასყიდელ ფონდისათვის გადაიდება.

კრიტიკული შენიშვნები

3.

„ბრდემლი“. წიგნი I, სალიტერატურო კრებული, გამოცემა ქართულ „სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა.

(შემდეგი *)

გადავიდეთ ბ. ცახელის პოემაზე: „საბრალო ბაბუა“.

აქვე უნდა აღვიარო, რომ როგორც ბ. არაგვისპირელის მოთხრობის, ისე ცახელის პოემის შინაარსი მეტად საყურადღებო, საამდროვოა. იგი ჩვენი სოფლის გამოფხიზლებულ გლეხის სწავლის შეძენის სურვილის გარშემო ტრიალებს.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი სოფლის ცხოვრებისათვის, უეჭველია შეამჩნევდა იმ არა-ჩვეულებრივ მიდრეკილებას, რომელსაც ჩვენი გლეხი თავისი პატარა ბავშვებისთვის ცოდნის შეძენისადმი იჩენს. განსაკუთრებით ეს ფრიად სასიხარულო მოვლენა იმერეთში მხილდება. ხშირად მსმენია ჩვენებურ გლეხებისაგან: ნასწავლ კაცს რა უჭირს, შენი ჭირიმე, მისთვის მუდამ ნათელია; იკითხოს მან, ვისაც თოხის მეტი არა უნახავს რა! ჩვენ ყველა გვბრიყვობს, ჩემო ნათლია, ვისაც ორი ან-ბანა უსწავლია ისიც-კი; სალდათის წერილი რომ მოგვივა, ოთხ-ხუთ ვერსტის მანძილზე მივრბივართ, რომ შევიტყოთ, თუ რას გვწერს უცხო ქვეყნად გაგზავნილი შვილიო“.

დიახ, დღეს იმერეთში ღრმად შეიგნეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა და თითქმის სოფელი აღარ მოიპოვება, რომელშიაც სკოლა არ არსებობდეს. სულ რამოდენიმე წლის წინად კი მახსოვს, როდესაც ჩვენებურ გლეხებს ურჩევდი: შვილები სასწავლებელში მიეცათ; იგინი შემდეგს მიპასუხებდნენ: „სწავლა რა ჩვენი საქმეა, ჩემო ნათლია; პაპას არ უსწავლია ჩვენსას და მამას; წამოვიზრდებით თუ არა სამ-ოყიან თოხს მოგვაჩეჩებენ ხელში და მას შემდეგ უხვად ვრწყავთ მიწას ჩვენის სხეულიდან მონაწურ ოფლით; არა, ჩემო ბატონო, სწავლა ჩვენი საქმე არ არისო“.

წელს ქართლის რამოდენიმე სოფელშიაც მომიხდა ყოფნა. გულდასმით უკვირდებოდი ქართლელ გლეხების ცხოვრებას და ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ვსთქვა, რომ სწავლის შეძენის სურვილს მათშიაც ძალზე განუღვიძია და მიუხედავად ფრიად შევიწროებული ნივთიერი მდგომარეობისა, ქართლელი გლეხი სცდილობს ანა-ბანა ასწავლოს თავის შვილებს.

მაგრამ სურვილი კიდევ საკმარისი არ არის. საჭიროა სურვილი განხორციელებულ იქმნეს და ამ მხრით კი მრავალი ულმობელი დაბრკოლება ელობება სწავლა-განათლების შეძენის სურვილით გატაცებულთ: სიღარიბე, სკოლის მრავალი შემავიწროებელი პირობები, ხშირად სასწავლებელში ადგილის უქონლობა და მრავალი სხვა.

ვინ იცის რამდენი დიდი ნიჭი იღუპება გაუფურჩქვნელად, ვინ იცის, რამდენი სიცოცხლით სავსე ზეგარდმო ნიჭით-ცხებული ახალგაზდა ეთხოვება უდროოდ წუთი სოფელს უსახსრობისა და აუტანელი სიღარიბის გამო! ამისათვის ყოველი მწერალი პატივსაცემია, რომელიც ძლიერის გრძნობით, მიმზიდველი ფერადებით დაგვიხატავს განათლების წყურვილით ძალზე აღტაცებულს, მაგრამ ღარიბსა და ყოველივე სახსარ მოკლებულ ახალგაზდის უნუგეშო მდგომარეობას, დაგვანახვებს ნორჩი ყმაწვილის სულის ტკივილებს სწავლის მიღების შეუძლებლობის გამო და მით ჩვენში ძლიერ სურვილს განაღვიძებს მათი დახმარებისა და ხელის შეყობისას. სწორედ მეტად მდიდარი მასალაა შემოქმედებისათვის მოხსენებული მხარე ჩვენის ცხოვრებისა; ბევრი წარმტაცი და საუცხოო სურათის შექმნა ძალუძს მადლიან ნიჭს ამ სარბიელზე.

ჩვენმა პოეტმა კი ვერ გადაგვიშალა ეს სურათი, ვერ ჩაგვახედა მოხუც ზალიკოს შინაგან არსებაში. პოემაში თვალში გვეჩხირება მრავალი ლირიკული ადგილები, საერთოდ მსჯელობა პოეტისა, მისი წრფელი სურვილი, სწავლა-განათლების გავრცელების ხელის შეწყობისა, მაგრამ იმ საბრალო ბაბუის შესახებ, რომელზედაც იგი თავის პოემაში მოგვითხრობს, სულ ცოტა რამეს ვპოულობთ. სწორედ აქ უნდა გაეშალა ფრთები პოეტის შემოქმედებას და ისეთი სიცოცხლითა და მიმზიდველობით უნდა გადმოეცა მოხუც ზალიკოს პირველად ყოვლისა ძლიერი წყურვილი თავისი გიგლასთვის სწავლის შეძენისა და შემდეგ კი ამ სურვილის დამსხვრევით გამოწვეული მისი სულიერი განწყობილება, რომ ნათელი დღესავით უნდა ცხად-ეყო უკუღმართობა იმ მდგომარეობისა, როდესაც სწავლის შეძენის სურვილით ძალზე გატაცებულს სასწავლებლის კარებს ძალით უხშობენ.

პოეტს მშვენივრადა აქვს აწერილი იანვრის ქარ-ბუქიანი დღე, როდესაც ქარი

„ას-წლოვან ხეებს წელში ჰხრის,
ღრიალებს, როგორც აფთარი,
ძლივს-ღა დაღოღავს ცხოველი,
უსმელ-უჭმელი, გამხდარი...“

და

„ჰკივის ქარ-ბუქი, ცას ჰბურავს,
თოვლს აბნევს ნიავ-მტვერადა.

პოეტს არა ნაკლები მიმზიდველობითა აქვს აწერილი მოხუც ზალიკოს მდგომარეობა, როდესაც იგი „ბილიკზე“ მოაბიჯებს; „თოვლ-ნამქერს“ მოაპობს, მაგრამ

„ღამე მთლად ჩამოშავ-კუპრდა,
ჩაჯოჯოხეთდა, ჩაბნელდა.
ბუქმა შეჰხუთა ჰაერი
გზაზედ სვლა უფრო გაძნელდა“.

საცოდავი „გიგოლი ძლივს-ღა ლუღლუღებს. ზალიკოს რჩევით იგი სოფლისაკენ გაჰკივის, ეგებ მაშველი ვინმე გამოუჩნდეს, მაგრამ ამაოდ, მის საპასუხოდ მხოლოდ ქარის ზუზუნი გაისმის, თითქოს სადღაც შორს დაჭრილი ნადირი ღმუოდეს. ბოლოს მოხუცი ზალიკო სრულიად მოიღლება, სიარულის სახსარი არა აქვს:

„ყინვამ გათოშა ძარღვები,
წარბებსაც ყინვა ჰკიდია,
მაჯაც მისუსტდა... მკვდარია,
თუმც სული პირში კიდეა.
იქვე ძველ თხრილში ჩაყუჩდა,
გულში ჩაიკრა გიგოლი,
ტანზე გაიძრო სამოსელი,
მითი შეჰბურა ობოლი,
თვითონ კი დარჩა ტიტველი
დარჩა პერანგის ამარა,
ოღონდ გიგოლი გადურჩეს
სხვა იმას არა ჰგამა-რა!

დიახ, მოხუცმა ზალიკომ თავისი სიკვდილი ამჯობინა პატარა გიგოლის სიკვდილს, და მართლაც იგი დილით მკვდარი აღმოჩნდა.

ვიმეორებ, პოეტს მიმზიდველადა აქვს გადმოცემული მოხუცი ზალიკოს ბუნების სტიქიონთან ბრძოლა; მის ნაზს წრფელს გრძნობას, გრძნობას, მოსიყვარულის ბაბუისას *) თავისი შვილის-შვილისადმი ჩვენ ნათლად ვხედავთ, მაგრამ იმ სულიერ განცდათ, იმ სულიერ ბრძოლას, რომელნიც უეჭველია მოიცავდნენ მოხუცის არსებას, ჩვენ პოემაში ვერ ვპოულობთ. ჩვენ ვიცით, რომ მოხუცის ერთად-ერთი ნუგეში მხოლოდ გიგოლი იყო. ვიცით, რომ იგი სულით და გულით ესწრაფოდა მის სასწავლებელში მიცემას. აგვისტოს დამლევს კიდეც ჩაიყვანა ქალაქში, მაგრამ იქ ასე უპასუხეს: ადგილი არა გვაქვს, იანვარში ჩამოიყვანე და მივიღებთო. სწორედ აქ უნდა შევეყვანეთ პოეტს მოხუცი ზალიკოს სულის სამეფოში და ჩვენთვის ნათელი შეიქნებოდა ზალიკოს სულიერი განწყობილება; ჩვენც წარმოდგენის საშუალებით სრულიად ჩავსწვდებოდით ზალიკოს სულის ჭრილობებს და მისი მწარე ნაღველი ჩვენთვის უცხო კი არა, ძლიერ ახლობელი შეიქნებოდა. ამის მაგივრად, პოეტმა ზალიკო ბუნების უხეშავ სტიქიონს შეაბრძოლა და ამ ბრძოლაში დაამთავრებინა წუთი-სოფელი.

სამაგიეროდ ჩვენთვის ადვილი მისახვედრია ის გარემოება, რომ გიგოლიმ ძეგლი დაუდგა თავის მოსიყვარულე ბაბუას, რომელმაც თავისი ტანსაცმელით თავისი ერთად ერთი ნუგეში შემოსა და თვით სასიკვდილოდ განამზადა თავი. პოეტს სწორედ რომ შესაფერი სისრულით აქვს გადმოცემული სურათი, როდესაც ზალიკოს მკვდარს იპოვიან:

„ჩაღრმავებია თვალები
კბილები დაუღრჭენია,
ზედ მიჰყინვია ხორცი ჯოხს,
ცალ ხელში რომა სჭერია,
ლურჯად მოუჩანს მხარ-ბეჭი,
სახე აქვს ყინვით დამჭკნარი და სხვ.

აგრეთვე კარგადა აქვს გადმოცემული პატარა ბავშვების, გიგოლის შვილების, სიტყვები, როდესაც იგინი ბაბუას საფლავზე თავის გაკვეთილებს სწავლობენ. ბავშვებს სჯერათ, რომ მკვდრები ღამ-ღამით შემოდიან და იმედი აქვთ, რომ ბაბუა ზალიკასაც ნახავენ ცხადად.

მას სიზრმად როცა ვნახულობთ,
ყოველთვის არის მწუხარი,
სცივა, ცეცხლს ეძებს, ძირს ფორთხავს;
უნდა, რომ ნახოს ბუხარი...
ალბად იხრჩობა ქარ-ბუქში,
ან გიგო მიჰყავს სკოლაში.

ბავშვების ასეთი წრფელი სიტყვები მრავალს მწარე ფიქრებს უღვიძებს პოეტს და იგიც ჰკითხულობს, „რად არ შევმუსრავთ იმ ძალას, რომელიც განახლების კარებს გვიხშობსო?

„ჩვენს ქედით ნაკრებ სიმდიდრეს
ჩვენს ასალაგმავად ხმარობენ,
სწავლა კი... სწავლა ხალხისა
მტარვალთ მმუსრავი ხმალია...“

დიახ, სწავლას, ამ აუცილებელ საჭიროებას ადამიანის არსებობისას, თავისუფალ განვითარებას ხელს უშლის მრავალი რამ და ჩვენი პოეტისაგან მეტს მოველოდით ამ უკუღმართობის აღწერაში.

* * *

არა ჩვეულებრივი აღელვებით შეუდექი ჩვენი ღრმად ნიჭიერი ბელეტრისტის დ. კლდიაშვილის ესკიზს „თავადი პეტრეს“ კითხვას. ხშირად ორჯელ-სამჯელ გადმიკითხავს მისი

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 518.

*) მამის მამას ეძახიან იმერეთში.

უცნაური შენიშვნა

(პასუხად ბ-ნს ჰამედ-ბეისა)

„სახალხო გაზეთის“ წარსულ კვირის ნომერში მოთავსებულია „მცირე შენიშვნა“ ბ-ნი ჰამედ-ბეისა, რომელმაც თავისი უსაფუძვლობით და უსამართლობით სწორედ გამაოცა.

ავტორი მაბრალებს, ვითომც მე **თვითეულს გამოცემაში** ვცვლიდე „Русское Слово“ს და „დედა-ენის“ ტექსტსა, და ამითი ორის სხვა და სხვა გამოცემის ხმარებას ერთსა და იმავე დროს შეუძლებლად ვხდიდე. მაგალითად მოჰყავს ჩემის რუსული სახელმძღვანელოდან სამი ფრაზა. ერთს გამოცემაში არისო: свой карандашъ дома забылъ. Не для тебя купилъ я свой кıрандашъ. И купилъ азбуку сынку. მეორე გამოცემაში ეს ფრაზები ასეა შეცვლილიო: свой карандашъ забылъ дома. Не для тебя я купилъ свой карандашъ И купилъ сынку азбуку. უკანასკნელს დალაგებას სიტყვებისას ადგილი აქვს უკანასკნელს—მეოცე გამოცემაში. მაშასადამე, იფიქრებს მკითხველი პირველი ცოტა განსხვავებული დალაგება სიტყვების უნდა ყოფილიყო ან მეცხრამეტე, ან მეთვრამეტე, ან მეჩვიდმეტე გამოცემაშიო. მაგრამ მკითხველი მოსტყუვდა. არც ამ გამოცემებში და არც წინანდელში იგი ამას ვერ შეხვდება. მხოლოდ მეათე გამოცემაში აღმოაჩენს განსხვავებულს რიგს სიტყვებისას. ეს გამოცემა დაიბეჭდა ათის წლის წინად, და მის ჰკანებაც კი აღარსად არის თუნდა რვა-ცხრა წელიწადია. ეს მეათე გამოცემა მე თავის დროზე შევსცვალე და სხვათა შორის მოყვანილს სამს ფრაზაში სამს სიტყვას ადგილი ვუცვალე. და მას შემდეგ მეთერთმეტე გამოცემიდან დაწყებული უკანასკნელ მეოცე გამოცემამდინ იბეჭდებოდა და იბეჭდება უცვლელად მოყვანილი ფრაზები.

ამდენადვე „მართალია“ ავტორი „დედა-ენის“ შესახებაც. „დედა-ენაში“-ო, ბრძანებს იგი, ერთს გამოცემაში სწერიაო: „ხარშვენ“, მეორეში „ხარშავენ“, ქმრად-ქმარად, წყალს შევიდა—წყალში შევიდა. ვეძებე ეს მაგალითები სხვა და სხვა გამოცემაში, მაგრამ ვერ ვიპოვნე. ყოველს შემთხვევაში აქ საქმე გვაქვს კორექტურულ განსხვავებასთან და არა ავტორის მიერ ცვლილებასთან. მეტადრე აშკარაა კარექტურული შეცდომა ფრაზაში: წყალს შევიდა.

სხვა რამესაც ბრძანებს: ბ-ნი ჰამედბეი „ძალიან კარგი იქნებაო, რომ ორივე „დედა-ენას“ ძველებურად შეაერთებდეს „წერა-კითხვის“ საზოგადოება, იგი ბევრს მოიგებსო. ეს საზოგადოება და თვითონ ავტორიც ამ შეერთებით უეჭველად მოიგებენ; მაგრამ ქართველი ხალხი კი წაგებაში იქმნება, რადგანაც უფრო ძვირად დაუჯდება ქართულის წიგნის შესწავლა. მოისმინეთ. ეხლა პატარა ყდიან დედა-ენაში ხალხი ხარჯავს სამს შაურს, და მას ათავებენ „შემოდგომის თვეების განმავლობაში. იანვრიდან კი ყიდულობენ დიდს „დედა-ენას“, რომელიც უჯდებათ ორ აბაზად. რადგანაც პატარა დედა-ენის ხმარებამ ოთხის თვის განმავლობაში ბავშვები წიგნის ყადრს შეაჩვია, ამიტომ მეორე ნაწილს „დედა-ენისას“ სიფრთხილით ხმარობენ და იგი ჰყოფნით მათ მეორე წელშიაც. ამ სახით, ქართულის წიგნის შესწავლა ჩვენს ხალხს უჯდება ორის წლის განმავლობაში თერთმეტ შაურად. ამაზედ ბევრად მეტი დაუჯდება ჩვენს ხალხს, თუ ორივე „დედა-ენა“ შეერთებულ იქმნა. თვითონ ჩვენი კალმოსანი ამბობს, რომ შეერთებული „დედა-ენა“ 55—60 კაპეიკად უნდა გაიყიდოსო. და მართალიც არის. მაშინ ამ სახელმძღვანელოში იქმნება 346 გვერდი. და ამოდენა წიგნს სამს აბაზზედ ნაკლები ფასი ვერ დაედება.

შევიდა ბავშვი სკოლაში, და მას მისცეს ხელში შეერთებული „დედა-ენა“, ვეებერთელა წიგნი. ბავშვი ხამია, წიგნის ხმარება და ყადრი არ იცის და ადვილად უფუჭდება იგი, მით უმეტეს, რომ წიგნი დიდია. ყოველ შემთხვევაში ერთი ცალი შეერთებული დედა-ენისა ერთს წელიწადს მეტს ვერ გასძლებს თვით ფრთხილის ბავშვის ხელში. მეორე წელიწადს ახალი ეგზემპლიარის ყიდვა უსათუოდ მოუნდება. ორი ეგზემპლიარი კი დაუჯდება ხალხს ექვს აბაზამდინ, ესე იგი ორჯელ უფრო ძვირად, ვიდრე ახლა უჯდება.

შეიძლება მითხრან, პირველის წლის კურსი მოათავსე ერთს წიგნში, და მეორე წლის კურსი—მეორე წიგნში მოაქციეო. ეს ძლიერ ადვილია; მაგრამ ხალხისათვის ხელ-საყრელი არც ეს იქნება, რადგანაც ბევრს ხამს ბავშვს ერთი წიგნი მთელის პირველის წლის განმავლობაში ვერ გაუძლებს, იგი და იძულებული იქნება მეორე ეგზემპლიარიც იყიდოს პირველი კურსისა. მეორე წელიწადს მეორე კურსის შეძენა მოუნდება. მაშასადამე, ამ სახით ორის წლის განმავლობაში სამის წიგნის ფასის გადახდა აუცილებელი—იქმნება ბევრი ბავშვისათვის.

უფრო კიდევ საშიშია ეს ცვლილება სხვა მხრივ. მოგეხსენებათ, რომ ბევრი ბიუროკრატი წინად მოწადინებული იყო და ახლაც არის, რომ ქართულის წიგნის სწავლება განისაზღვროს პირველის წლითა. წიგნი, რომელიც იპყრობს ერთის წლის კურსსა, ხელს შეუწყობს ამ წადილის განხორციელებას. პატარა დედა-ენა, რომელშიაც მხოლოდ ნახევარ-წლის კურსია მოქცეული, და დიდი „დედა-ენა“, რომელიც შეიცავს წლი-ნახევრის კურსსა, გზაზე ეღობებიან ამ წადილის სისრულეში მოყვანასა.

პატარა დედა-ენა რომ გავხადოთ ნაწილად დიდი „დედა-ენისა“, იგი თავის მნიშვნელობას ნახევრობით მაინც დაჰკარგავს. ეს პატარა, იაფი

კანტორისაგან

პრემია „გრდემლი“ პროვინციის წლიურ ხელის მომწერლებმა უნდა მოიკითხონ:

ქუთაისში—წიგნის მაღაზია ,,იმერეთ‘‘.-ში.
გორში—საურთიერთო ნდობის ბანკში, ე. ხუციშვილთან.
ბათომში—ქალაქის საავადმყოფოში, ირ. ავალიშვილთან.
სამტრედიაში—ქ. შ. წ. კ. საზ. განყოფილების კიოსკში, კალაძესთან.
თელავში—ქ. შ, წ. კ. საზ. განყოფილებაში, ივ. პაატაშვილთან.
სოხუმში—ნიკო ჯანაშიასთან.
ჭიათურაში—საურთ. ნდ. ბანკში სოფრონ ტარუაშვილთან.

დანარჩენი წლიური ხელის მომწერნი რომელთაც 30 კ. არ წარმოუდგენიათ ,,**გრდემლი**‘‘ უნდა მოიკითხონ გაზეთის კანტორაში, ტფილისში. რომელთაც წარმოდგენილიაქვთ 30 კ. ისინი მიიღებენ პრემიას ფოსტით.

წლიურ ხელის მომწერლად ითვლება ის, ვისაც ხელისმოწერისთანავე წარმოდგენილი აქვს არა ნაკლებ 3 მ. და დანარჩენი ხელის მოწერის ფასიც გადახდილი იქნება იმ ვადებზე როგორც გამოცხადებული გვქონდა.

ხელის მომწერნი რომელთაც ჩვენ გაზეთზე ხელი მოაწერეს წიგნის მაღაზია ,,იმერეთი‘‘-ს საშუალებით პრემია ,,გრდემლ-ს მიიღებენ ცოტა დაგვიანებით. **,,სახალხო გაზეთი‘‘-ს კანტორა.**

წიგნაკი, შემკული მრავალი სურათით და დედნით, პატარა **მინონოსკასავით**, ნაღმოსანივით მისცურავს სოფლებში, შეისრიალებს ხეობებში, ადის მთაში უწევს ოსეთსა და ქისტეთსა და ჰბადავს მოთხოვნილებას და სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას. ეხლა ეს პაწია ნაღმოსანი იფინება სოფლებად და ქალაქებად წელიწადში 30,000 ეგზემპლიარი. წერა-კითხვის საზოგადოებამ რომ მეტი სიცოცხლე გამოიჩინოს და პატარა „დედა-ენა“ უხვად გზავნოს დამტარებლების ხელით პროვინციებში, მისი წლიური გასავალი ასი ათასამდინ ავა, და ქართულის წიგნების კითხვა მთელ ქართველს ხალხს გარდაექცევა ყოველ დღიურ მოთხოვნილებად.

არა, ბ-ნო ჰამედ-ბეი, ჩვენი ეროვნული საქმე ამ დარგში ნორმანულად არის დაყენებული, მათემატიკურად არის გამოანგარიშებული, მოწყობილია შესაბამად ჩვენის აწინდელის მდგომარეობისა, და სხვა საქმეებიც რომ ვაწარმოვოთ ამ გვარივე შესაბამობით, ჩვენის ქვეყნის ჭირ-ვარამი თანდათან იკლებს და ქართველს ხალხსაც გაუღიმებს უკეთესი მომავალი.

იაკობ გოგებაშვილი.

ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი

ჩვენს ცხოვრებას ერთი რამ კიდევ სამწუხარო მოვლენა ემატება, რომელიც თან და თან თვალსაჩინო ხდება. ეს გახლავთ ქართულ მასწავლებელთა რიცხვის შემცირება სამოქალაქო სასწავლებლებში. ავიღოთ, მაგალითად, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც ერთათ-ერთ საშუალო პედაგოგიურ სასწავლებელს წარმოადგენს ჩვენში და რომელიც ასე თუ ისე, ხეირიანად მომზადებულ მასწავლებლებს იძლევა. მთელ ამ სასწავლებელში მარტო ხუთი ქართველი სწავლობს დღეს. 1910 და 1911 წლებმა ისე გაიარა, რომ ქართველი არავინ მიუღიათ. 1912 და 1913 წლებშიაც თუ ასე მოხდა, ქართველები და მასთან ქართული ენაც, რომლის სწავლება დიდის ვაი-ვაგლახით და დავიდარაბის შემდეგ შემოიღეს ინსტიტუტში, თავის თავად გაჰქრება, რისთვის გვეხალისება უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში, როდესაც მითაც ვერ ვსარგებლობთ, რაც გვაქვს. ეს მოვლენა ბევრ მიზეზზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთის მხრით მითაც აიხსნება, რომ ქართველი სოფლის მასწავლებლები კარგათ არ იცნობენ ინსტიტუტს; ბევრს ისეც ჰგონია, რომ ინსტიტუტში ქართველებს ვითომც სულაც არ ღებულობენ, და ამიტომაა რომ გვერდს უვლიან. როდესაც სამი-ოთხი ათასი ვერსის სიშორიდან 150—200 რუსი ჩამოდის, მაშინ ქართველები 6—20 თუ მოვლენ ხოლმე. ასეთ პირობებში, რა გასაკვირალია, რომ რუსები იმარჯვებენ და ქართველებს ან სულ არა და ან 1—2 ღებულობენ. თუმცა იყო დრო, როდესაც ქართველები ორ წილს შეადგენდენ ინსტიტუტში და რუსები კი—ერთს. აქ საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვა მის შესახებ, თუ საზოგადო მნიშვნელობის გარდა, რა კერძო სარგებლობის მოტანაც შეუძლია ინსტიტუტს და ან როგორ სჯობია იქ ეგზამენის დაჭერა. მხოლოდ მარტო ის ფაქტი რომ, რუსეთიდან იმოდენი ხალხი მოდის ეგზამენზე ნათლად გვიჩვენებს მის მნიშვნელობას. თუ მათთვის ხელსაყრელია ინსტიტუტში შესვლა, ჩვენთვის რატო უნდა იყვეს საზარალო? და მართლაც, სწავლის მხრით რიგიან დონეზე სდგას: რუსული ენა, საბუნებისმეტყველო საგნები, პედაგოგიკა, პსიხოლოგია და მეთოდიკა იქ უფრო კარგად ისწავლება, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენ სასწავლებელში; ამასთანავე ასწავლიან ხატვას, გიმნასტიკას „სკოლის“ სისტემაზე, ქართველებს-ქართულს სპეციალისტის ხელმძღვანელობით, სკრიპკაზე დაკვრას და სხვა. ეკონომიური მხრითაც ინსტიტუტის შეგირდები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ნახევრობა მათგანი სარგებლობს სტიპენდიით (15 მ. თვ.), გარდა ამისა თვითეული შეგირდი 30—50 მან. კერძო გაკვეთილებით შოულობს. მშრომელ ადამიანს საერთო განვითარების მიღებაც ადვილათ შეუძლია აქ; პედაგოგიურ მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკა და ეგრეთ წოდებული „Фундаментальная учительская библіотека“ წარმოადგენენ მშვენიერ წყაროს, საიდანაც მოწაფეებს მიაქვთ სხვა და სხვა სახელმძღვანელოები და წიგნები. რაც შეეხება გავრცელებულ ცრუ აზრს: ინსტიტუტში ქართველებს არ ღებულობენო“, ეს სრული შეცდომაა. ვინც კი ეგზამენს დაიჭერს, მიიღებენ. საჭიროა მხოლოდ ეგზამენების ტრადიციებისა და საერთო ხასიათის წინდაწინვე გაცნობა. უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის და აგრეთვე პროგრამისათვისაც მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგი ადრესით:

Тифлисъ. Учительскій Институтъ.
Воспитаннику III кл., Л. С Кавадзе.

პასუხს ყველა დაუყოვნებლივ მიიღებს.

კეთილმოსურნე.

† სტუდენტი ვანო არსენიშვილი

17 დეკემბერს 1911 წ. ქ. კიევში ალექსანდროვის საავადმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა კიევის კომერციულ ინსტიტუტის 22 წლის სტუდენტი ვანო კონსტანტინეს ძე არსენიშვილი. განსვენებული დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ნახშირის-ღელეში 1888 წ. ღარიბ მედავითნის ოჯახში. 1906 წ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან ტფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა; ოთხი კლასის დასრულების შემდეგ 1910 წ. კიევის კომერციულ ინსტიტუტში გადავიდა. როგორც ღარიბი, ხელ-მოკლე ოჯახის შვილი, გაჭირვებულ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ მხნედ ებრძოდა გაჭირვებას. მაგრამ დასუსტებულ სხეულს ჩრდილოეთის სუსხმა ბოლო მოუღო. ამ უბედურებამ თავი მოუყარა ცხედრის გარშემო ყველა ქართველს და საერთო ძალ-ღონით ვანოს კუბო სამშობლოსაკენ გამოამგზავრეს. დიდი მადლობის ღირსნი არიან თ. ნესტორ დავითის ძე ერისთავი და მისი და მარიამ, რომლებიც როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად დაგვეხმარენ.

22 დეკემბერს მღვდელმა ანტონ ფირცხალავამ მშობლიურ ენაზე აუგო ანდერძი; დასასრულ გუგუნით გაისმა მწუხრზე-მწუხრი „წმინდაო ღმერთო“ და ცხედარი სადგურისაკენ წაასვენეს.

სამშობლომდე მიცვალებულის გაცილება იკისრა კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტმა ზებედე ტრაპაიძემ, ქ. ოდესაში მიცვალებულს გვირგვინით შეჰგებებოდენ ოდესელი ქართველი სტუდენტები, რომელთა დახმარებით კუბო გემში მოეთავსებინათ.

30 დეკემბერს ფოთში მისულიყო გემი, საიდანაც მას კუბო რკინის გზით მიესვენებინა მიცვალებულის სამშობლო სოფლის მახლობელ სადგურამდე, სადაც მშობლებისათვის და ნათესავებისათვის ჩაებარებინა მიცვალებული. აქ მიცვალებულს ამხანაგობის სახელით გამომშვიდობებოდა ზებედე, რომელიც ეგზემენების ჩასაბარებლად საჩქაროთ დაბრუნდა უკანვე.

დაუვიწყარი იქნება შენი ხსოვნა ჩვენ შორის სწავლისათვის თავ-დადებულო ამხანაგო ვანო.

ქ. კიევი. **სტ. ი. ირემაშვილი.**

P. S. კიევის კომერციულ ინსტიტუტის კავკასიურ სათვისტომოს სახელით გულითად მადლობას ვუძლვნი პატივცემულთ: 1) თავ. ნ. დ. ერისთავს, ქ-ნ მ. დ. ერისთავს, თავ. თარხანიშვილს, ექ. ს. გოგიტიძეს, გ. დოლაბერიძეს, შ. ჩხიკვიშვილს, ა. დანელიას, უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას და სხვებს, რომლებმაც კიევის კომერციულ ინსტიტუტის გარდაცვალებულ სტუდენტის ამხანაგ ვანო არსენიშვილის მცხედარის სამშობლოში გადასასვენებლად ზნეობრივი, და ქონებრივი დახმარება გაგვიწიეს.

კავკასიურ სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე
ქ. კიევი. **შ. გოგებაშვილი.**

ღია წერილი

ბ-ნ მ. ჯანაშვილის მიმართ. სხვა და სხვა ევროპიელ მეცნიერთ მოგვთხოვეს თუ ქართულ წყაროებში რამე მოიპოვება **ეფესელ შვიდ ყრმებზე** და მთავარ მოწამე გიორგიზე. უმდაბლესად გთხოვთ რამდენიმე წერილი უძღვნათ ამ საკითხს ერთ რომელიმე ქართულს გამოცემაში. რაც შეეხება წ. გიორგის, ჩვენ ხელთა გვქონდა ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ და იმით ვისარგებლეთ. ამის გარდა, თუ იმისთანა საბუთი გეგულებათ, რომელსაც გარდაწყვეტითი ძალა ჰქონდეს, შესახებ წ. ანდრიას მოსვლას ჩვენს ქვეყანაში, გთხოვთ განგვიმარტოთ, წყაროების ჩვენებით. უკანასკნელი თხოვნა. დიდი ხანია თქვენ განზრახული გქონდათ ქართულ პალეოგრაფიის გამოცემა; არ ვიცით რათ დაგვიანდა ამ ფრიად სასარგებლო წიგნის დაბეჭდვა; იმედია მალე ვეღირსებით მის გამოქვეყნებას.

თქვენი პატივცემული
ა. შიო ბათმანიშვილი.

ჩინეთის რესპუბლიკა

(დეპეშები).

შანჰაი. ხმა დავარდა, თაონშაი იუანშიკაისთან წავიდა, პრეზიდენტად არჩევა უნდა აცნობოს და ნანკინს გადასახლება სთხოვოსო. ვერცხლი დაძვირდა.

კაშგარი. რუსეთის კონსულთან შეთანხმებით ჩინეთის მთავრობამ მარალბაში რუსების აწიოკების დამნაშავენი დაითხოვა სამსახურიდან და ზარალის ანაზღაურება დააკისრა. დამნაშავე ჯარის-კაცები გაწკეპლეს, როტის უფროსი კი ციხეში ჩასვეს. იანვარში იარკენდში მარალბაშის მსგავსი ინციდენტი მოხდა. რუსეთის კონსულმა დამნაშავეთა სასტიკად დასჯა მოსთხოვა ჩინეთს.

ურუმციიდან ამბავი მოვიდა, მთავრობის ჯარმა ილიის რევოლიუციონერები სიკუჩუსთან 29 იანვარს დაამარცხაო. [illegible] რევოლიუციონერთა [illegible] ჩამოახრჩვესო. ჩინეთის მთავრობას არა სჯერა ეს ამბავი.

მუკდენი. მანჯურიაში გაგზავნილ რესპუბლიკელ ჯარის უფროსმა ლანთიანვეიმ ჯაოერსუნი ინახულა და შეატყობინა, თუ ქალაქელები და საზოგადოდ მანჯურიელნი რესპუბლიკის დროშას აფრიალებენ, სამხედრო მოქმედებას შევაჩერებო.

კულჯა. რესპუბლიკელთა ჯარი შიხოდან 35 ვერსის მანძილზე დაბანაკდა. გენერალმა იანტუილინმა ურუმცის გუბერნატორს შეატყობინა, თუ არ დაგვმორჩილდები, შიჰოსთან შეგებრძოლებითო.

ჩიფუ. აქაურ გაზეთების სიტყვით, იმპერიალისტებს ვანსიანელები აუწიოკებიათ და შემდეგ წასულან. ქალაქი რევოლიუციონერებს იჭერიათ.

ტოკიო. ამბობენ, ჩინეთის დედოფალმა თავი მოიკლაო.

იაპონელებს ჩინეთისთვის 10 მილიონი უნდა ესესხებინათ და გირაოდ ჩაინამერჩენტის გემები მოითხოვა. ჩინეთმა უარი უთხრა.

გაზეთებიდან.

რესპუბლიკის შეწყნარების საქმე.

რუსეთი ჩინეთის რესპუბლიკის შეწყნარებას ამ ათ დღეში ვერც კი მოახერხებს, საქმე ფერხდება, რადგან პეტერბურგის კაბინეტმა ჩინეთის რესპუბლიკის მეთაურისაგან ოფიციალური ცნობა უნდა მიიღოს, ეს კი ჯერ მოუხერხებელია, რადგანაც ჩინეთში დროებითი მთავრობაა და ამუანშიკაი ჰმეთაურობს. იუანშიკაის, საერთაშორისო უფლების თვალით თუ შევხედავთ, არა აქვს ნება მოლაპარაკების დაწყებისაო.

ეს გარემოება იუანშიკაიმაც კარგად იცის. მან უცხო სახელმწიფოში მყოფ აგენტებს მოწერილობა დაუგზავნა, დროებითი მთავრობის წარმომადგენლად ითვლებითო.

სახელმწიფოთა უმრავლესობას ჰსურს ჩინეთს რასმე გამორჩეს და შემდეგ შეიწყნაროს რესპუბლიკა. გერმანია და ინგლისი ჩინეთს მოსთხოვენ ზოგიერთ ადგილის იჯარით აღების უფლებას.

უცხოეთში მყოფმა ელჩებმა იუანშიკაის აცნობეს ნამდვილი მთავრობა რომ დამყარდება, მაშინ აღიარებენ ჩინეთის რესპუბლიკას მომხდარ ფაქტად უცხოელნიო. ელჩებს იუანშიკაი ჩინეთის კანონიერ წარმომადგენლად მიაჩნიათ.

სუნიათზენის გადადგომა.

იუანშიკაიმ ამას წინად სუნიათზენს დროებითი რესპუბლიკის დაარსება აუწყა. სუნიათზენმა იუანშიკაის მიულოცა და თანაც განაცხადა, პრეზიდენტობაზე ხელი ავიღეო. სუნიათზენმა თურმე დასძინა, დედოფლის პირობები ვერ გამოგვადგება, ახალმა მთავრობამ ახალი უნდა შეიმუშაოსო.

სუნიათზენი სთხოვს იუანშიკაის ნანკინში მოდიო, ან შენს მაგიერ ვინმე გამოგზავნეო. იუანშიკაიმ თავის მაგივრად თანგშაი გაჰგზავნა. სუნიათზენმა რომ გაიგო ესა, მოვიდა რესპუბლიკის პროვინციათა დელეგატების კრებაზე და განაცხადა, პრეზიდენტობას თავს ვანებებ და იუანშიკაი ამოირჩიეთო.

დელეგატებს ძალიან სწყენიათ თურმე სუნიათზენის გადადგომა. პრეზიდენტი უნდა აერჩიათ 3 თებერვალს.

იუანშიკაის პრეზიდენტობა

3 თებერვალს მოხდა ჩრდილოელთა და სამხრეთელთა შეერთებული კრება და ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს იუანშიკაი.

დაფუძნებელ კრების მოწვევას თიანძინში აპირებენ.

ჩინეთში რესპუბლიკა დამყარდა. ჩინეთის მრავალ-ტანჯული ხალხის ტირანიასთან ხანგრძლივი ბრძოლა მის სასარგებლოდ დამთავრდა. ბრძოლა იგი ჯერ კიდევ 1896—7 წლებში დაიწყო, როდესაც ჩინეთის ინტელიგენტთა მცირე ჯგუფმა მიზნად დაისახა კანონიერის გზით კონსტიტუციის შემოღება. ამ ჯგუფის სათავეში იდგა კან-იუვეემი; იგი დაახლოვებული იყო ჩინეთის გარდაცვლილ იმპერატორ გუან-სიუეთთან, მაგრამ მათ მიერ დაწყებული საქმე უდროოდ იქმნა შეწყვეტილი იმპერატორის სიკვდილის გამო. მხოლოდ ამის შემდეგ ზომიერ რეფორმის ადგილი რევოლიუციონურმა რეფორმამ და-

მისი მოთხრობა, რომ უფრო მეტი სიამოვნებით აღვსებულიყავი მართლადაც ხელოვანის მარჯვენით ჩვენი ცხოვრების აღწერით, რომელიც სარკესავით მეშლებოდა თვალწინ და მრავალს უკვე განაცადს კვლავ განმაცდევინებდა. ამ შემთხვევაში იმედმა მიღალატა.

„თავადი პეტრე“ მხოლოდ პატარა ესკიზია და სრულიად გაუგებარია, რად დასჭირდა მისი დაბეჭდვა პატივცემულ ავტორს. თუ თვის ესკიზში თავად პეტრეს მიერ გამოთქმულ სენის შესახებ ჰსურდა რამე დაეწერა ჩვენს მწერალს, იმ სენის შესახებ, რომელმაც დაღუპვის პირამდის მიგვიყანა, გაგვაჩანაგა, მიწასთან გაგვასწორა მთელი ქართველობა, განა ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა უკეთესი სახის მიცემა ვერ შესძლო მისთვის გარდა ამ პატარა, გაუგებარი ესკიზისა?

მერე ეს სენი ხომ ყველას თვალში გვეჩხირება თვალებს გვიკაწრავს, სულს გვიშფოთებს, მოსვენებას გვიკარგავს. ჩვენს მედიდურობასა, განდიდების სურვილსა, ჩვენს ახლოს უკეთესი ადამიანის მოთმენის შეუძლებლობის შესახებ მოგახსენებთ. ლამის ერთმანეთი გადავსჭამოთ, სხვისი წარმატება მოსვენებას არ გვაძლევს, სამაგიეროდ სხვისი დაცემა-უბედურება გვახარებს. მანჩარისთანა პიროვნები ვინ იცის რამდენი მოიპოვებიან ჩვენს კურთხეულ საქართველოში. მერე როგორი მდიდარი მასალაა ყოველივე ეს ხელოვნური ნაწარმოებისათვის! რამდენი დაჩირქებული იარის გამოშკარავება შეეძლო ჩვენი ცხოვრებიდან ნამდვილი დოსტაქარის ნესტარით შეიარაღებულ ხელოვანს! მერე რა დიდს, დაუფასებელ სამსახურს გაუწევდნენ იგინი ჩვენს სამშობლოს. დიახ, პატივცემული კლდიაშვილის ესკიზმა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა და მწარე ფიქრთა ქარავანიც კი გაგვიღვიძა...

⁂

ცოცხლად და მიმზიდველად აქვს დაწერილი თ. რაზიკაშვილს თვისი ამბავი „ქორის ბახალა“.

ქორი სოფლის მტერია. ყოველი მის სოფლად მოვლინება დიდს ალიაქოთს გამოიწვევს ხოლმე: იგი შურდულივით დასკდება წიწილს და მსწრაფ ჰაერში აიტაცებს. უნდა უყუროთ მაშინ დედაკაცების ყვირილს: „აჰუ, აჰუ“ გასძახის თვითეული და სცდილობს, კლანჭებიდან გააგდებინოს ქორს. მსხვერპლი, მაგრამ ამაოდ, ქორი მას უკვე თვის ბუდისაკენ მიაქანებს. მთელი სოფელი ჩივის: გაგვაცია, გაგვაჩანავა მაგ დაღუპულმაო“.

ბ. რაზიკაშვილის მოთხრობაში მშვენივრად არის აწერილი მიუვალ მთის ფერდობზე მდგომი მუხა. არ შემიძლია სიტყვით არ მოვიყვანო იგი: „უხსოვარ დროიდან იდგა აქ დახავსებული დაღრეჯილი, თვითონაც კი აღარ ახსოვდა თვისი წარსული, ვინ მოიტანა აქ ამ თვალ უწდომელ კლდის თავზე, ვინ ჩათესა ამ ქვასა და ქვიშაში? გრძელ ქაღარა წარბებივით ჩამოფხუტოდა ტოტებიდან მწვანე, ან ნისლის ფერი, ერთმანეთზედ ასხმული და აჩონჩხილი ხავსი. საკვირველი იყო ეს ხავსი! ხან დროთა ბრუნვისაგან დაჩანაკებულ-სიკვდილ მიუკარებელ გრძნეულთა წვერს მომაგონებდა, ხან გაფარჩხულს არწივის კლანჭებს..

იდგა მუხა აქ და თვალ-მოუშორებლად დასცქეროდა ჭალას, ვერც კი წარმოედგინა, თუ იმ ჩაღრმავებულ, ჩავარდნილ და სულ შეხუთულ ხეობაში შეიძლებოდა სიცოცხლე და ბედნიერება“.

ამ მუხის წვერზედ გაიკეთა ბუდე ლურჯმა ქორმა, რათა „კაცის ხმა, სოფლის ხმაურობა და ჭაჭყანი აეცილებინა თვისი შვილებისათვის, სამაგიეროდ „არწივის ყეფა, შავარდენის კივილი, ჩანჩქართა ხუილი, ზვავების ქუხილი და დაგორებული ლოდების გრიალი“ დედის ტკბილ ნანინად ჩაესმოდათ მათ მუხის წვერზე აგებულ ბუდეში.

დედა ქორი ყოველ დღე ნადირობდა და უხვად უზიდავდა თვის ბარტყებს საჭმელს. ერთხელ კი ორი დღის განმავლობაში შვილებს ვერა მოუტანა რა. ბახალები ძალზე შეწუხდნენ შიმშილით. მესამე დღეს დედა უკვე დაბრუნდა ნანადირევით. მას მოჰყავდა სულმობრძავი მტრედი, რომელიც სულს ებრძოდა. ბახალები დაფრთხნენ და ერთმანეთს მიეკვრენ. ადგილიდან არ იძვრებოდენ. ბოლოს დედამ მათ კვდარი მტრედი შიგ ბუდეში ჩაუგდო, მაგრამ პატარა ბახალები ბუდის პირზე გადმოსხდნენ, გაშალეს ფრთები და გაკრინდნენ დედა ქორმა მხოლოდ შემდეგის თქმა მოასწრო: „სად მიჰფრინავთ, სადა თქვე სულელნო“?

საერთოდ ეს ამბავი ცოცხალი ენითაა დაწერილი და სიამოვნებით იკითხება. შინაარსიც მიმზიდველია: ბებერი მუხა, ქორი, თუ პატარა ბახალები ჩვენი ცხოვრების შესახებ ბევრს რამეს მოგვითხრობენ და განგვისახიერებენ. **ალ. წერეთელი.**

(შემდეგი იქნება)

იპერია, რომელმაც თვის დროშაზე ანტინაციონალურ სამეფო სახლობის ტახტიდან ჩამოგდება დაიწერა და იმპერატორის დამცველი პარტია „გე-მინ-დანგბათა“ პარტიად შეიცვალა, ე. ი. იმპერატორის ბრძანების ურჩთა პარტიად. ამხნიდან რევოლუციონურმმ მოძრაობამ მძლავრად გაიდგა ფესვი ჩინეთის ახალგაზდობაში. ექიმი სუნიატ-ცენი, მეთაური დღევანდელის მოძრაობისა, რომლის სახელი წაუშლელი იქნება ჩინეთის ერის ისტორიაში, თან და თან ჰხრიდა საზოგადოებრივი აზრის სასწორს რესპუბლიკანურ მართველობისაკენ... ჩინეთის ხალხმა გაიმარჯვა; ბოლო მოუღო სულის შემხუთველ მონობას და თავისუფლების დროშა ააფრიალა.

საკვირველი არ არის, თუ ეს შემთხვევა მთელი ევროპის განცვიფრებას იწვევს: მას ჩინეთი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც საიდუმლოებით მოცული ქვეყანა, მუდამ უმოძრაო, ერთ ადგილს გაყინული. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ის მრავალი ათასი სტუდენტობა ჩინეთისა, რომელიც მოდებული იყო იაპონიასა, შეერთებულ შტატებს ინგლისში, თუ საფრანგეთში მძლავრად ეწაფებოდა ევროპის კულტურას და მისი შუქი სამშობლოშიც შეჰქონდათ. ამრიგად სწარმოებდა ნელი, მაგრამ შემოქმედებითი მუშაობა ჩინეთის ერის გათვითცნობიერებისა. გარდა ამისა განუყოფელ ჩინეთის იმპერია მხოლოდ ფიქცია იყო, ნამდვილად კი პროვინციების ვიცე-კოროლი თითქმის პატარა დამოუკიდებელი მეფეები იყვნენ; ეს გარემოება უმთავრესად იმითი იყო გამოწვეული, რომ ჩინეთის სხვა და სხვა ნაწილები ურთი-ერთისაგან დიდად განსხვავდებიან ენით, ზნე-ჩვეულებით და ადგილობრივ ინტერესებით.

არეულობა სპარსეთში

(დეპეშები)

თეირანი. ყველაზე დიდ რეაქციონერის ბახტიართა ხანს ემირ-ოფახამს შინაგან საქმეთა მინისტრთან უთანხმოება მოუვიდა. მთავრობისა და დანარჩენ ხანების მოთხოვნილებით მან თეირანი უნდა მიატოვოს.

გაზეთებიდან

ახალი მინისტრები.

სპარსეთის კაბინეთში ცვლილება მოხდა. ხაკი-ულ-მულკმა ჩაიბარა განათლების სამინისტრო, რუსთა მომხრეობით განთქმული მოჰტეშამ-უსსალტანი ფინანსთა მინისტრად დანიშნეს.

ბახტიარები.

ბახტიარები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან სამშობლოში, მიაქვთ იარაღი, ნაძარცვი და სხვა.

ინგლისელთა მისიაში სარდარასადს აცნობეს ყველა ბახტიარები სამხრეთს წავიდნენო.

მაჰომედ-ალი.

ასტრაბადიდან დეპეშა მიჰსვლიათ თეირანში: მაჰომედ-ალის რუსეთის კონსულმა მოსთხოვა სპარსეთის მიტოვება, მაგრამ შაჰად ნამყოფმა უარი უთხრა. მან განაცხადა:

— ფეხს არ მოვიცვლი, რადგან ხალხს ასე ჰსურსო. პროვინციათა უმრავლესობა ჩემ ხელშია. მხოლოდ ერთი ჯგუფი ღა დარჩა, რომელიც მეწინაალმდეგება. მათ კისრის მოგრეხას ადვილად შევძლებო.

ბოლოს, როდესაც მაჰომედ-ალიმ გაიგო, ეს წინადადება რუსეთსა და ინგლისს ეკუთვნისო, დასთანხმდა სპარსეთის მიტოვებას, მაგრამ ზარალის ასანაზღაურებლად 400,000 მანეთი მოსთხოვა.

დეპეშები

სახღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

8 თებერვალი.

გაფიცვა.

ლონდონი. გლემორგანის საგრაფოს პოლიციის უფროსი მთავრობასა სთხოვს 3500 ქვეითა ჯარის-კაცი და 500 მხედარი გამომიგზავნეთ, რადგანაც მთა-მადნის ქარხნის მუშებს გაფიცვის ფონდი არა აქვთ და ამიტომ იგი მშვიდობიანად ვერ ჩაივლისო.

ასკვიტმა მრეწველთა საბჭოსთან მოლაპარაკების შემდეგ მთავრობას ქვა-ნახშირის მრეწველობის მდგომარეობა გააცნო უელსის სამხრეთსა, ნოტრუმბერლენდსა, დურგემსა და შოტლანდიაში მუშებსა და მრეწველებს მოლაპარაკება ჯერ არ გაუთავებიათ. იმედი აქვთ მორიგებისა. ბარგის გადამზიდეელ მუშათა კომიტეტმა 10 თებერვალს მანჩესტერში დაადგინა საერთო გაფიცვა გამოაცხადონ. თუ მთამადნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, ბარგის გადამზიდველნიც გაიფიცებიან.

კორეელთა დაპატიმრება.

ტოკიო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სეულში 50 შეთქმულის კორეელის დაპატიმრებამ. ისინი ამერიკელთა მისიის მოწაფენი არიან.

ზანგთა დაჭრა სასამართლოში.

ნიუ-იორკი. შელბივილის სასამართლოში ირჩეოდა საქმე სამის ზანგისა, რომელთაც სარკინისგზო მაძებარ პოლიციის აგენტის მოკვლა ბრალდებოდათ. ზანგებს ვიღაცამ რევოლვერი ესროლა და დასჭრა. ერთი ზანგი გარდაიცვალა.

მეამბოხეთა დამარცხება.

მექსიკა. კურნავაკაში მთავრობის ჯარმა ზაპატის მომხრენი დაამარცხეს. მეამბოხენი დაამარცხეს ტორეოშიაც.

ბილინსკის მინისტრობა.

ვენა. „ფრედენბლატის“ სიტყვით ბილინსკი ავსტრია-ჰუნგრეთის მინისტრად დაუნიშნავთ.

ნოქსის აზრი.

პალჩიჩი. ნოქსმა განაცხადა, ჩემი მგზავრობის გეგმას არ შევცვლი, თუ ტაფტი არ მომცემს სხვა განკარგულებასაო. როგორც სჩანს, ნოქსი მაინც შეივლის კოლუმბიაში, თუმცა ამერიკასა და მის შორის უთანხმოებაა.

წარმოდგენის გადადება.

ზაგრები. ეროვნულ თეატრში სტუდენტებმა მოითხოვეს სარაევის დემონსტრაციის დროს მოკლულ სტუდენტის გლოვის ნიშნად წარმოდგენა გადასდეთო. მათ მოთხოვნილებას მხარი დაუჭირა ხალხმა და თეატრი მიატოვა. წარმოდგენები ორი დღით შესწყდა.

ბერტჰოლდის განცხადება.

რომი. სანჯულიანომ ერენტალის სიკვდილის გამო თანაგრძნობა გამოუცხადა ბერტჰოლდს. ბერტჰოლდმა საპასუხო დეპეშაში განაცხადა, განსვენებული სულ იმასა სცდილობდა ეს ორი მეგობარი ერი დაეახლოვებინა და მეც ამავე გზას ვადგევარო.

რუსეთი.

ქარიშხალი შავ-ზღვაზე.

სევასტოპოლი. ქარიშხალი მძვინვარებს. ორთქლ-მავალთა მიმოსვლა შესწყდა.

ცეცხლი.

ჩერნიგოვი. ჩერნიგოვის მაზრის სოფელ მალიე-ოსნიაკში დაიწვა მემამულე პოდოლსკის სახლი. ფერფლად იქცა ძვირფასი წიგნთ-საცავი და დიდებულ მხატვართა ნაწარმოებნი.

უცხოეთი

სოციალ-დემოკრატის თავმჯდომარეობა.

ამ სათაურითაა დაბეჭდილი „რუსკია ვედომოსტის“ უკანასკნელ ნომერში.

რეაქციონერები ძალიან გააცოფა ნაციონალ-ლიბერალების საქციელმა. მათ ხმა მისცეს ჯერ ბებელსა და შემდეგ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიტატს სოციალ-დემოკრატ შეიდემას. ეტყობა ჯერჯერობით ყველა თავს იკავებს, რეიჰსტაგის გახსნისთანავე ყველა გაჩუმებულია და ეს მოგროვებული ენერგია ბიუჯეტის განხილვის დროს იშოვის გზას. მაგრამ კულისებს იქით და პრესაში, სულ ცეცხლს აფრქვევს შავლურჯთა ბანაკი. კონსერვატორებმა და კლერიკალებმა იძულებულ ჰყვეს შპანი, თავი დაენებებინა თავმჯდომარეობისათვის და შემდეგ ამასვე უპირებდნენ ვიცე-პრეზიდენტს ნაციონალ-ლიბერალს ბ-ნ პააშს. კონსერვატორებს მიეხმარა „პარტიათა მაღლა“ მდგომი მთავრობა ფონბეტმან ჰოლვეგისა. მან მფარველობა გაუწია ნაციონალ-ლიბერალთა მარჯვენა ფრთას და ამნაირად პარტიაში უთანხმოება დაჰბადა პარტიის მეთაურს, საბრალო ბისერმანს, ოფიციოზმა და რეაქციონერთა პრესამ თავგზა დაუბნია. პააშეს დაუსწრებლად, ფრაქციამ გადასწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა პრეზიდიუმში და პააშესთვისაც ეთხოვნა ვიცე-პრეზიდენტობაზე ხელი აეღო. ერთის პოლიტიკოსის თქმისა არ იყვეს, საბრალო პარტია თავისმავე გმირობამ შეაძრწუნა.

აი, ასეთი იყო საქმის ვითარება რეიჰსტაგის სხდომის გახსნის დროს. პააშეს ჯერ არ განუცხადებია უარი, მაგრამ სხდომაზე მისვლა კი ვერ გაჰბედა. თავმჯდომარის ადგილზე მარტოოდენ სოციალ-დემოკრატი ვიცე-პრეზიდენტი შეიდემანი იყო.

როგორც ყოველთვის, რეიჰსტაგის კარებთან აუარებელი ხალხი შეგროვდა. ტრიბუნებიც სავსეა და დეპუტატიც ყველა გამოცხადდა. რადგან დღეს ბევრი საგულისხმო რამ არის განსახილველი, მინისტრებიც მოვიდნენ. ყველა თავმჯდომარის ტრიბუნას შეჰყურებდა. გაიღო კარი და რეიჰსტაგის დირექტორის, პრეზიდიუმის მარჯვენა ხელის, თანახლებით შემოვიდა ვიცე-პრეზიდენტი შეიდემანი, იგი მაღალი, ტანადი ვაჟკაცია, ასე 46 წლისა. შეიდემანი სრულიად აუღელვებლად დაჯდა თავმჯდომარის ადგილას, თუმცა კარგად იცოდა, ყველა იმას უყურებდა. კანცლერის მოადგილემ დებრიუკმა სალამი მისცა. შეიდემანმაც უპასუხა. „შეჰხედეთ თავს როგორ უკრავს მთავრობასა!,“-ხუმრობენ ჟურნალისტები.

შეიდემანმა რამდენიმეჯერ დააწკარუნა ზარი და კრება გახსნა. შემდეგ ხმამაღლა, თითქოს შეჩვეული იყოს ამ საქმესა დაიწყო ლაპარაკი.

„მე ესა და ეს დეპუტატი დროებით განვათავისუფლე... დეპუტატი ბარონი გერტლინგი ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტად დანიშნეს და ამიტომ თავი დაანება დეპუტატობასა. დეპუტატმა შპანმა შემოიტანა თხოვნა, პრეზიდენტობისაგან განმათავისუფლეთო. მომივიდა აგრეთვე დღევანდელ სხდომის გადადების წინადადება. ამ საკითხს კენჭი უნდა უყაროთ. წინადადებას ვიძლევი ხვალ 2 საათზე შეკრებისას. ხვალ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი და სხვა. სხდომას გათავებულად ვაცხადებ.“

სხდომა სულ 5 წუთს გაგრძელდა, მაგრამ იგი დიდმნიშვნელოვანი იყო. ეტყობა, ხვალ შეიდემანი უკვე ვერ მოახდენს დღევანდელისთანა ფუროს. ერთ თვეს შემდეგ კი ყველას გაუკვირდება, რათა ვღელავდით ნეტა, სოციალ-დემოკრატი რო გვყავდა პრეზიდენტადაო. შემდეგ გაიგებენ, რომ სოციალ-დემოკრატი თავმჯდომარე არაფრით განირჩევა ამავე თანამდებობის ამსრულებელ მოსაქმე „ბურჟუას“...

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. 17 თებერვალს წარმოდგენა გაიმართება ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის რეჟისორის **ა. წუწუნავას საბენეფისოდ.** წარმოდგენილ იქნება ორი პიესა: „აშენდა საქართველო“ ფოცხვერაშვილისა და „მორევში“ ჭანტურიშვილისა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი ელისაბედ ჩერქეზიშვილისა, ნინო დავითაშვილისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ალაგირი (თერგის ოლქი). ხუთშაბათს 2 თებერვალს 1912 წელსა, ქართული სკოლის დარბაზში წარმოდგენილ იყო ქართული სცენის მოყვარეთა მიერ „სამშობლო“ დრამა 5 მოქ. 7 სურათად. დ. ერისთავისა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ალათი ლობჯანიძისა, (ქეთევანი) სონა მიდელაშვილი, (დედა კაცი) მანია მეტრეველი, (ფაიხოში) მასწ. გ. უტურაშვილი, (სვიმონი) სამსონ მეტრეველი, (ლევანი) ლუკა ომიაძე, (ზაზა) ბესო მეტრეველი, (როინ) ილიკო გავაშელიშვილი, (ესტატე), ილია ლობჯანიძე, (დიაკვანი გოგია) იგივე ასრულებდა (ექიმს) ნიკიფორე ლობჯანიძე, (შაჰი) პეტრე მეტრეველი, (ისრაფილ) ლავრენტი ლობჯანიძე, (ისმაილ), გიორგი დუჩაშვილი, (ისკანდერ-ბეგ), ილია გუგეშაშვილი, (დაუ ბეგდ), ვასო მეტრეველი, (ჯალათი) მალაქია ქარბაძე, (ჯაშუში) ნინა მეტრეველი, (მსახური), მათე მეტრეველი, (სუფლიორი). ყველამ კარგად ითამაშეს და კარგადაც იცოდნენ როლი, დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ზემოხსენებულნი პირნი. ხალხი ბლომად დაესწრო.

შემოსავალი იყო ბილეთებით 93 მან. 15 კ. ბუფეტიდან 21 მან. 23 კ.

გასავალი 24 მან. 25 კაპ. დარჩა 90 მან. 13 კაპ.

4 თებერვალს წარმოადგინეს უფასოდ საწყალ ხალხისთვის „ბედმა მიღალატა“ კომ. 3 მოქმ. „გაბატონებული ყმა“ ვოდ. 1 მოქმ. და „ხელოვნება თუ კაკარდას“ მეორე მოქმედება. ბევრი აცინეს დამსწრენი მასწ. გ. უტურაშვილმა და ილ. ლობჯანიძემ.

გამგე პეტრე მეტრეველი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში დაგვითმოთ მცირე ადგილი.

წარსულ 1911 წელს ბორჯომში **ბ. ზ. ჭიჭინაძის** აგენტმა მოიტანა **„დიდ მოურავ გიორგი სააკაძის“** წიგნზე ხელმოსაწერი კვიტანციები. თითქმის ოცდა ათი ხელის მომწერი იშოვნა. იმ პირობით, რომ წიგნები უნდა ჩაებარებინა 1 ღვინობისთვემდე. დღესაც არ ვიცით რა ბედი ეწია ჩვენს ფულს, მივიდა წიგნის გამომცემელთან თუ არა? ვთხოვთ ბ. ზ. ჭიჭინაძეს გვაცნობოს, წიგნის გამოსვლა რადა გვიანდება?

ა. ყანჩაველი, ო. ხობელოვი, იპოლიტე კიკინაძე, ბ. მაჭარაშვილი.

ბატონო რედაქტორო!

ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ ანგარიში **საიუბილეო სალამოსი**, რომელიც გაიმართა ქ. თელავში 22 იანვარს, მარიამ **საფაროვ-აბაშიძის** პატივსაცემათ.

შემოსავალი:

ბილეთების გაყიდვიდან 169 მ. 95 კ., ხილის გაყიდვიდან 2 მ., შემოწირულება 3 მ. 80 კ. სულ 175 მ. 75 კ.

ხარჯი:

მარკები ბილეთებისათვის 10 მ. 14 კ. საკრებულოს ქირა 10 მ. ორკესტრს 15 მ., ბილეთების და აფიშების დაბეჭდვა 7 მ., პარიკმახერს 5 მ., სურათის გასადიდებლად ფოტოგრაფს 3 მ., ორი დეპეშის გაგზავნა ნების ასაღებად 4 მ. 80 კ., სურათის ჩარჩოს გაკეთება 3 მ. 50 კ., დაფნის ქნარის გაკეთებაში 1 მ., ხორცი და პური ორკესტრისთვის 3 მ. 50 კ., სანთელი 1 მ. 35 კ., დურგლებს 1 მ. 40 კ., 2 პოლიციელს 1 მ., უფასოდ მიცემული ბილეთები 2 მ., გაზეთში გამოცხადება და ფოსტისა 1 მ. 15 კ., წვრილმანი ხარჯი: მავთული, ქაღალდი, წერილები, ქალამნები სცენისათვის, გუმერაბიკი, ლურსმანი, ეტლი და სხვა -5 მ. 56 კ. სულ 80 მ. 40 კაპ.

წმინდა შემოსავალი—95 მ. 35 კ. ამ ფულის გადმოსაგზავნი ფოსტის ხარჯი 25 კ., **დარჩება 95 მ. 10 კ.**

გაახლებთ რა ამ ფულს, გთხოვთ, პატივცემულო რედაქტორო, გადასცეთ პატივცემულ იუბილიარს—მარიამ საფაროვ-აბაშიძისას.

ამასთანავე უცხადებთ ულრმეს მადლობას დახმარებისათვის შემდეგ პირთ: თელავის სცენის მოყვარეთ, რომელითაც არ დაზოგეს შრომა და უსასყიდლოდ ითამაშეს, ივანე პაატაშვილს, შინაარსიან ბიოგრაფიის წაკითხვისათვის, მომღერალთა გუნდს —საკონცერტო განყოფილების მოწყობისათვის, შემომწირველთ: კნ. თამარ აბაშიძეს (2 მ. შემოსწირა), საკრებულოს მამასახლისებს—შენობის ნახევარ ფასად დათმობისათვის, დავით მარქაროვს (1 მ. 80 კ. შემ.), და ყველა მათ, ვინც ხელი შეუწყო საიუბილეო სალამოს გამართვას.

გამგე სალამოსი **მარიამ კანდელაკისა**
ხაზინადარი **ალ. ციციშვილი.**

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ რედაქციას დაბეჭდოს შემდეგი: მ. მ. საფიროვ-აბაშიძის სადღესასწაულო იუბილეიში ისურვეს მონაწილეობის მიღება, მცირეოდენი წვლილის გამოღებით, შემდეგ პირთ:

ავალიანმა 1 მან., ადამოვმა 1 მ., თავ. ამილახვარმა 3 მ., ანდღულაძემ 50 კაპ., ბადრიძემ 2 მ., ბაქრაძემ 2 მან., ბახტაძემ 1 მ., ბუჩუყური 1 მ. ვაჩნაძისამ 5 მ., ვირსალაძემ 2 მან., გაბაშვილმა 1 მ., გარდაბხაძისამ 2 მან.. გოგაკვამ 2 მ., ჯანდიერისამ 2 მან., ჯომარჯიძემ 1 მან. ჟორდანიამ 3 მ., ზედგინიძემ ივანემ 3 მ., ზედგინიძემ პლატონმა 2 მ., კაკაბაძემ 1 მან., კალატუზოვმა 5 მან., კასრაძემ 1 მ., ქუთათელაძემ 2 მ., ქავთარაძემ 1 მ., ქარცივაძემ 3 მ., ქორქაშვილმა 1 მან., ლოლუამ 1 მ., მესხმა 1 მან., ნორიშენაშვილმა 50 კ., ფავლენიშვილისამ 2 მან. როსტომაშვილმა 1 მან., სიდავამ 2 მ., სულხანიშვილმა 5 მან., ხოშტარია დიმიტრიმ 2 მან. ხოშტარიამ ამბროსიმ 1 მან., ხუციშვილმა 2 მ., ციმაკურიძემ 1 მან., ჩინჩალაძემ 1 მ., ჭილაძემ 1 მ , შჩერბანინასი 3 მან.

სულ 72 მანეთი, აქედან დაიხარჯა მილოცვის დეპეშაში და მარკებში —ფულის გასაგზავნად 5 მანეთი, დანარჩენი 67 მანეთი გაეგზავნა დრამატიულ საზოგადოებას მ. მ. საფაროვ-აბაშიძის გადასაცემად 28 იანვარს.

ელენე ვირსაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. სათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარიში დამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში დამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარიში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. დამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარამი დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარიში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6в, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. დამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. დამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევს 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოთ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველამ შეუძლიან გადასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევებს ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606“-ით.
(100—1615—2)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოკტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.10)

იძლევა იჯარით და იყიდება პირველი კლასის რესტორანი. პირობის გაგება შეიძლება მიხეილის ქუჩაზე, № 102 ლოლაძესთან.
(2—236—1)

დაიბეჭდა და იყიდება
ნ. ვ. აბრამიანის
შემდეგი შრომანი:
I
სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელო,
ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.
II
სარგებლის გამოსაანგარიშებელი ტაბლიცა.
1—30 დღეში, ¼—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე.
მეორე გამოცემა, ფასი 85 კ.
III
ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,
საბუღალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.
ამ გამოცემათა საწყობი **ნ. აბრამიანის** საბუღალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი ნიკოლოზის ქუჩა, № 22. ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით დაიბარებს, გადასაგზავნს არ იხდის.
(10—193—9)

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის მელანი
ტეხნო-ქიმიურ ამხ-სა
„ქიმიკოსი“
საწყობი და კანტორა: მალაკნის ქუჩა, № 16. (8.1058.7)

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.